

შპს „ზახარ“-ის 2019 წლის სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზახარ“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1998 წლის 22 სექტემბერს. მისი საიდენტიფიკაციო კოდია 202061053. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 7 ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ჭყონდიდელის 56

შპს „ზახარ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ძირითადი საქმიანობა განისაზღვრა წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება ეფუძნება:

საქართველოს კანონს „მეწარმეთა შესახებ“;

საქართველოს კანონს- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ;

დებულებას-საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ;

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (ფასს).

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს ამზადებს წელიწადში ერთხელ.

ოპერაციების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხვის მეთოდით.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო აღრიცხვის ძირითადი პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომლის მიზანია უზრუნველყოს საფინანსო ანგარიშგების მისაღებად ყველა საჭირო მოთხოვნა.

სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს პროგრამა „ინფო ბუღალტერი“-ს მეშვეობით და გამოყენებული აქვს „სასაწყობო პროგრამა ერთი ესი“

3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს ახალმა სტანდარტებმა, ინტერპრეტაციებმა და შესწორებებმა;

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკას, თუ ცვლილება მოითხოვება წინამდებარე სტანდარტით ან უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას სამეურნეო ოპერაციების ან გარემოებების გაგულების შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფულადი ოპერაციების აღრიცხვა

კომპანია ფულადი ოპერაციებს აღრიცხავს სალარო და საბანკო ოპერაციების წარმოების წესის შესაბამისად. დებიტორ-კრედიტორებთან ანგარიშსწორება ხორციელდება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ფორმით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურება ღირებულებაზე მეტად.

ძირითადი საშუალებების გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება გარიგების ფასსა და საბალანსო ღირებულების შედარებით, აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ცვეთა გამოითვლება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად- წრფივი მეთოდით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ყოველი წლის ბოლოს.

ყოველი პერიოდის (წლის) ცვეთის თანხა აისახება ხარჯის სახით.

აქტივი თავისი წინასწარ განსაზღვრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში შეიძლება გახდეს გამოუყენებელი, დაზიანდეს ან გამოვიდეს აქტიური მოხმარებიდან, ამ შემთხვევაში ცვეთის დარიცხვა წყდება და აქტივი მზადდება ჩამოსაწერად.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები

აქტივის მომსახურების ვადის დადგენისას გათვალისწინებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი:

კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენება;

ტექნიკური ან კომერციული მომველეობა, რომელიც გამოწვეულია კომპანიის პროცესების ცვლილებებთან დაკავშირებით.

არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ტარდება წელიწადში ერთხელ. ამასთანავე გათვალისწინებულია არამატერიალური აქტივის გამოყენების დრო თავისი შინაარსიდან გამომდინარე.

აქტივები, რომელიც გამოყენებულია კომპანიის ყოველდღიური მუშაობის პერიოდში და მისი თვითღირებულება 1000 ლარს არ აღემატება, კომპანია ახდენს მის აღიარებას ხარჯად.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის, დაზღვევისთვის, სხადასხვა მომსახურების გაწევისთვის, რათა სასაქონლო მარაგი მიყვანილი იქნას შემდგომი რეალიზაციისათვის სათანადო სახის მიღებამდე.

სასაქონლო მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია იდენტური საქონლის შეფასების საშუალო შეწონილი მეთოდი.

მოცულობიდან გამომდინარე, თუ ვერ ხერხდება მთელი მარაგის ინვერტარიზაცია, კომპანიაში ადგილი აქვს შერჩევით სასაქონლო მარაგების ინვენტარიზაციას (საქონლის თუ მომწოდებლის მიხედვით)

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად-მიღებული ან მისაღები ან აზღაურების რეალური ღირებულებით, საქონლის რეალიზაციით და მარკეტინგული მომსახურებებით. შემოსავალი მოიცავს ამონაგებსა და შემოსულობას.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის შემოსავლად აღიარებულია ეკონომიური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, კერძოდ საქონლის, მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავალი, აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი, კომპენსირებით მიღებული შემოსავალი.

ამონაგებად აღიარებულია:

- საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები;
- მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები;

შემოსულობად აღიარებულია:

- სხვა მნიშვნელოვანი ტიპის(ბონუსები, ფასდაკლებები და ა.შ.).

ხარჯების აღიარება

საწარმო ხარჯს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

საწარმო ხარჯად აღიარებს ყველა იმ სამეურნეო ოპერაციას, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლის მიღებასთან:

შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომითი კანონმდებლობისა და კომპანიის მიერ დამტკიცებული სამუშაო განაკვეთების შესაბამისად;

რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები დადებული ხელშეკრულებების და შესრულებული პირობების შესაბამისად;

დანარჩენი ხარჯები შეთანხმებული და საჭირო ოპერაციების პირველადი დოკუმენტების საფუძველზე.

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა და კონტროლი კომპანიის მიერ ხდება გაფორმებული ხელშეკრულებების, აქტების, ინვოისების, სასაქონლო ზედნადებების, ანგარიშგაქვების და სხვა პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება

ბანკიდან აღებული სესხის შემთხვევაში, ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით ხელშეკრულების საფუძველზე და ამით აქტივების გაზრდით.

დარიცხული პროცენტი წარმოადგენს პერიოდის ხარჯს.

ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის დროსკომპანია, როგორც მოიჯარე საიჯარო გადასახდელებს ხარჯად აღიარებს წრფივი მეთოდით მეიჯარის მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე.

კომპანიას აქვს მოკლევადიანი იჯარა, რომელიც ხელშეკრულებისა და ყოველთვიურად წარმოდგენილი ანგარიშ- ფაქტურის ხარჯზე აღიარებულია ხარჯად

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციურივალუტა“). ფინანსური

ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგინი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანია ძირითადად საქონლის იმპორტით არის დაკავებული.შემენილი საქონლის მარაგის აღიარება და მომწოდებელთან ურთიერთობა ხდება იმ დღევანდელი შესაბამისი ვალუტის კურსით.

ანალოგიურად ფინანსურ ვალდებულებზე.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებოკაპიტალისა, სარეზერვო კაპიტალის და გაუნაწილებელი მოგებისგან.

საანგარიშო პერიოდში დივიდენდის გაცემა არ მომხდარა.

მოგებისგადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი..

საანგარიშო წელს კომპანიის მიერ მოგების გადასახადით დაიბეგრა დამფუძნებელზე გაცემული სესხი; პირისათვის გადახდილი ავანსი; გაცემული საჩუქრები; გადახდილი ჯარიმა

დაბეგრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან,გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

დოკუმენტი მომზადებულია შპს ზახარის ფინანსური სამსახურის მიერ

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	ლარი		
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,539	82,968	63,318
სავაჭრო მოთხოვნები	5,286,076	4,237,787	3,883,697
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები	2,650,474	2,514,488	2,243,385
- მზა პროდუქცია	2,650,474	2,514,488	2,243,385
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	1,408,098	399,698	2,390
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გულდელი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	185,218	178,588	56,753
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	9,537,405	7,413,529	6,249,543
ვალდებულებები			
ფინანსური ოჯარის ვალდებულება	41,041	62,061	-
სავაჭრო ვალდებულებები	4,051,097	3,182,718	2,771,115
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			4,495
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	94,599	45,474	45,593
საგადასახადო ვალდებულებები	171,195	78,375	82,142
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1,497,797	999,532	654,378
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	4,060	5,707	382,792
სულ ვალდებულებები	5,859,789	4,373,867	3,940,515
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,000	2,000	2,000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2,362,868	1,724,998	987,750
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები	1,312,748	1,312,664	1,319,278
სულ საკუთარი კაპიტალი	3,677,616	3,039,662	2,309,028
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9,537,405	7,413,529	6,249,543

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	ლარი	
	საანგარიშებო პერიოდი	წინა საანგარიშებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	10,815,359	8,175,399
საქონლის გაყიდვიდან	10,815,359	8,110,956
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		64,443
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(7,082,489)	(5,342,299)

საწყისი მარაგები	2,514,488	2,243,385
მარაგების შესყიდვა	7,218,475	5,613,402
გადაბუნების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	3,732,870	2,833,100

სხვა შემოსავალი	84,176	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,254,460)	(946,049)
ცვეთა და ამორტიზაცია	(45,097)	(22,633)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	(122,023)	(58,071)
იჯარის ხარჯი	(158,867)	(124,758)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,160,992)	(775,929)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,657,263)	(1,927,440)

საოპერაციო მოგება	1,075,607	905,660
--------------------------	------------------	----------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(248,886)	(107,119)
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ხარჯი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	826,721	798,541
მოგების გადასახადი	(186,446)	(62,661)
მოგება/(ხარჯი)	640,275	735,880

სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი):		
მირითადი სამუღლებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ხარჯი)	640,275	735,880

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	3,039,662	2,309,028
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(2,321)	(5,246)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,677,616	3,039,662

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		

შპს „ზაზარ“-ის 2019 წლის სააღრიცხვო პოლიტიკა